



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმაღინი

„30“ იანვარი 2019 წელი

N 19/36

ეგზ: N1

შპს „საქართველოს ფოსტის“
2017 წლის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
გაცემული რეკომენდაციები	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	12
აუდიტორის პასუხისმგებლობა	12
აუდიტის საგანი	13
აუდიტის მასშტაბი	13
აუდიტის კრიტერიუმები	13
აუდიტის მიზანი	14
აუდიტის მეთოდოლოგია	14
ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა	15
აუდიტის მიგნებები	21
1 შემოსავლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები	21
1.1 საფოსტო მომსახურების ფასწარმოქმნის პრინციპები	21
1.2 ფასწარმოქმნა გადაზიდვებში	22
2 შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები	23
2.1 შესყიდვების დაგეგმვა	24
2.2 ზედმეტად გადახდილი თანხები	25
2.3 სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების შედგენა	26
2.4 კონკურენციის შეზღუდვა	27
2.5 ტექნიკური პარამეტრების არასათანადოდ განსაზღვრა	28
2.6 სარეკლამო მომსახურების შესყიდვა	28
3 ქონების მართვის ნაკლოვანებები	31
3.1 სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერა	31
3.2 ქონების გადაცემა და ინტერესთა კონფლიქტი	32
3.3 ინვენტარიზაცია	36
4 ადამიანური რესურსების მართვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები	38
4.1 დანამატები	38
4.2 შრომითი დავები	39
5 პარტნიორის მიერ უფლებამოსილებების შესრულებისას გამოვლენილი ხარვეზები	40

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „საქართველოს ფოსტის“ (შემდგომ – კომპანია ან ფოსტა) 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი და მოიცვა კომპანიის შემოსავლების განკარგვისა და ქონების მართვის საკითხები.

კომპანია საქმიანობას ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: საფოსტო მომსახურება, გადაზიდვები და საცალო ვაჭრობა. საფოსტო მომსახურება არის მთავარი, ხოლო ტვირთის გადაზიდვა და საცალო ვაჭრობა – დამატებითი საქმიანობა.

კომპანიის დაფინანსების წყაროა საკუთარი შემოსავლები, რომლის სათანადოდ დაგეგმვა და განკარგვა მნიშვნელოვანია წესდებით განსაზღვრული მიზნის – მოგების მიღების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მიზნის გარდა, კომპანია ასრულებს საქართველოს მიერ ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებულ ვალდებულებას – უზრუნველყოს საფოსტო მომსახურების მუდმივი მიწოდება საქართველოს ტერიტორიის ყველა პუნქტის ყველა მომხმარებლისთვის **ხელმისაწვდომ** ფასად.

ზემოაღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით დადგენილი ტარიფების გამო, საფოსტო მიმართულება ფინანსურად ზარალიანია, რაც ნაწილობრივ კომპენსირდება ვაჭრობიდან და გადაზიდვებიდან მიღებული მოგებით. მიუხედავად ამისა, 2017 წელს კომპანიას დაუფიქსირდა უარყოფითი ფინანსური შედეგი და ჯამურმა საოპერაციო ზარალმა 1.5 მილიონი ლარი შეადგინა.

აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

სატარიფო პოლიტიკის ნაკლოვანებები

კომპანიაში არ არის დადგენილი ფასწარმოქმნის პრინციპები საფოსტო მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლებისთვის. ასევე არ არის განხილული ტარიფების დივერსიფიცირების შესაძლებლობა მომხმარებელთა, სხვადასხვა პრინციპით სეგმენტებად დაყოფის მიზნით. არ არის შესწავლილი ბაზარი, კონკურენტული გარემო და ყველა ტიპის მომხმარებლისთვის დაწესებულია ერთი ტარიფი.

ასევე კომპანიას არ აქვს შემუშავებული სატარიფო პოლიტიკა გადაზიდვის მომსახურებისათვის და ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება შემოსავლის პროცენტული განაწილება კომპანიასა და გადამზიდვას შორის.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასაბუთება, თუ რამდენად გონივრულია ყველა ტიპის საფოსტო მომხმარებლისათვის ერთი და იმავე ტარიფის დაწესების გადაწყვეტილება და რამდენად გამართლებულია მსგავსი მიდგომა კომპანიის ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. გადაზიდვებში არსებული არასისტემური მიდგომა კი ვერ ჩაითვლება ჯანსაღი ფინანსური მმართველობის მაგალითად და შესაძლოა, უარყოფითად აისახოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

- შპს „საქართველოს ფოსტის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესი განსაზღვრავს მონეტარულ ზღვარს, რომლის ფარგლებში კომპანიას შეუძლია შესყიდვის განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუმცა აღნიშნული ზღვარი ეხება ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების და არა წლის განმავლობაში ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის ღირებულებას. აღნიშნული ჩანაწერი არის ხარვეზიანი და ხელშეკრულების ხელოვნურად დაყოფის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მომზადებისას, კომპანიაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა.

აღნიშნულს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ 2017 წლის გეგმა 76-ჯერ შეიცვალა. გარდა ამისა, გეგმა საბოლოოდ დაზუსტდა 2017 წლის 21 დეკემბერს და ითვალისწინებდა 18,401,922 ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას, თუმცა ფაქტობრივმა ხარჯმა 11,764,238 ლარი შეადგინა (64%).

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული, არადისკრიმინაციული და ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისთვის გამოცხადებულ ტენდერში, ღირებულებით – 200,812 ლარი, მოთხოვნილი იყო ისეთი პარამეტრები, რომლითაც შეიზღუდა ერთ-ერთი შესაძლო პრეტენდენტი. კონკურენციის შემზღუდველი პარამეტრების გამო, წინასწარ მოკვლეული მოდელის მიმწოდებელს არ მიეცა ტენდერში მონაწილეობის საშუალება.

აღნიშნული შემზღუდველი მოთხოვნები ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და ზრდის ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

ქონების მართვის ნაკლოვანებები

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმოებმა უნდა იმოქმედონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით¹ მათ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის შესახებ. აღნიშნული წესი დარღვეულია რამდენიმე შემთხვევაში, კერძოდ:

ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა

2011 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „საქართველოს ფოსტამ“ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ დროებით სარგებლობაში გადასცა საოფისე ფართები. ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, მსგავსი გადაწყვეტილება უნდა შეთანხმებულიყო სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, რაც არ განხორციელებულა.

ქონების გადაცემა დავალიანების სანაცვლოდ

2012 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „საქართველოს ფოსტას“ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მიმართ დაუგროვდა გადასახდელი ქირა. მიუხედავად იმისა, რომ ქირის ოდენობა დაადგინა დამოუკიდებელმა აუდიტორმა, გადაუხდელობის მოტივად კომპანიის მხრიდან დასახელდა ქირის საბაზრო ფასზე მაღალი განაკვეთი. ხელშეკრულება იყო ერთწლიანი და გრძელდებოდა

¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/1732, 29/10/2010, მუხლი N3.

ავტომატურად, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება არ შეწყვეტილა 2 წლის და 4 თვის მანძილზე.

2018 წლის დასაწყისში გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე, გადასახდელი 661,728 ლარის სანაცვლოდ, შპს „საქართველოს ფოსტამ“ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ საკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება, საერთო ფართობით – 1,858.85 კვ.მ.

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიცია ამ ტრანზაქციასთან დაკავშირებით ბუნდოვანია და გაუგებარია ეთანხმება თუ არა სააგენტო ვალის სანაცვლოდ ქონების გასხვისებას.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვერ დარწმუნდა, რამდენად დაცულია მარეგულირებელი ნორმის მოთხოვნა და შეთანხმებულია თუ არა საკითხი სააგენტოსთან, ასევე რამდენად მართლზომიერია ფოსტის ქმედებები სახელმწიფო ქონების ასეთი ფორმით გასხვისებასთან დაკავშირებით.

ინტერესთა კონფლიქტი

ლატარიის კომპანიასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში – ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში და ქონების გადაცემა დავალიანების სანაცვლოდ – დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნა საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობის შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულებებს, როგორც ფოსტის, ისე ლატარიის კომპანიის მხრიდან, ხელს აწერს ერთი და იგივე პირი, რომელიც ერთდროულად არის ორივე კომპანიის გენერალური დირექტორი.

მსგავსი გარიგების დადებისას შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. პირისთვის, რომელიც ორი სხვადასხვა მხარისათვის დებს ერთ გარიგებას, რთული გადასაწყვეტია, რომელ წარმოდგენილ მხარეს შეუქმნას საუკეთესო პირობები. ერთისთვის უპირატესობის მინიჭება ავტომატურად მოქმედებს მეორე მხარის საწინააღმდეგოდ.

ამ შემთხვევაში, ლატარიის კომპანიისთვის დავალიანების სანაცვლოდ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხში, ერთ მხარეს წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფო, ხოლო მეორე მხარეს 70%-ით – სახელმწიფო და 30%-ით – კერძო საკუთრებაში არსებული კომპანია,² რომელიც მოქმედებს საკუთარი ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე.

² შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 30% წილის მფლობელია შპს „ლექსორ კაპიტალ კორპ.“, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.).

შესაბამისად, ერთი და იმავე პირისათვის რთულდება ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვა.

ინტერესთა კონფლიქტის რისკს უფრო მეტად ზრდის ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებაზე პარტნიორის (სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) პასუხი იყო ბუნდოვანი.

კომპანიაში დანერგილი ზემოაღნიშნული პრაქტიკა მაღალი რისკის მატარებელია რესურსების არარაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული რისკი უფრო იზრდება, როდესაც შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადებული გარიგებები მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, არ თანხმდება, ან არასათანადოდ თანხმდება პარტნიორთან.

ინვენტარიზაცია

აქტივების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის უგულებელყოფა. ინვენტარიზაციის ჩატარების გარეშე, შესაძლოა კომპანიამ ვერ უზრუნველყოს აქტივების ეფექტიანი მართვა, მოძველებული ან დაკარგული აქტივების დროულად აღმოჩენა/გამოვლენა, შესაბამისად, ვერ განახორციელოს აქტივების სათანადო კონტროლი.

აუდიტორული პროცედურებით, კომპანიის მარაგებში არსებული ავტონაწილების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული ფაქტობრივი ოდენობის ბუღალტრულ ნაშთებთან შედარებით, გამოვლინდა 18,991 ლარის დანაკლისი (შერჩეული მოცულობის 56%) და 1,187 ლარის ზედმეტობა (შერჩეული მოცულობის 16%).

ინვენტარიზაციის ჩატარების გარეშე, შესაძლოა კომპანიამ ვერ უზრუნველყოს აქტივების ეფექტიანი მართვა, მოძველებული ან დაკარგული აქტივების დროულად აღმოჩენა. შესაბამისად, ვერ განახორციელოს აქტივების სათანადო კონტროლი. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ კომპანიის ბალანსზე ირიცხება 5,094,179 ლარის ღირებულების, 84 ერთეული – გამოუყენებელი და 2,032,876 ლარის ღირებულების, 66 ერთეული – საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი უძრავი ქონება.

ადამიანური რესურსების მართვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

- 2017 წლის მანძილზე 1,545 თანამშრომელზე გაცემულია 6,640,481 ლარის დანამატი. შპს „საქართველოს ფოსტაში“ დანამატების ოდენობები განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებებით. ფიქსირებული დანამატების დანიშვნის საფუძვლები ბრძანებებში მითითებული არ არის, ხოლო „ცვლადი დანამატები“, ძირითადად, გაიცემოდა დამატებითი ფუნქცია-მოვალეობებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულებისათვის.

დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ვერ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

- კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსალოდნელი ფინანსური შედეგი. 2017 წელს კომპანიამ შრომით დავებზე განაცდურის სახით 19 თანამშრომელს, რომლებიც სამსახურიდან გათავისუფლდნენ 2012-2015 წლებში, სულ აუნაზღაურა 395,616 ლარი. 6 შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო გათავისუფლებული თანამშრომლების სასარგებლოდ, ხოლო 13 შემთხვევაში, საქმე დასრულდა მორიგებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტები უარყოფითად აისახა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

პარტნიორის მიერ უფლებამოსილების შესრულებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

შპს „საქართველოს ფოსტის“ წესდების მოთხოვნების მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრება ვალდებულია შეიკრიბოს წელიწადში მინიმუმ ერთხელ, დაამტკიცოს კომპანიის ბიზნესგეგმა, აკონტროლოს მისი შესრულების მიმდინარეობა, ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორის საქმიანობას და გადაწყვეტილება მიიღოს მნიშვნელოვან მმართველობით საკითხებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფუნქციებისა, 2017 წელს პარტნიორთა საერთო კრება არ ჩატარებულა. შესაბამისად, სათანადოდ არ გაკონტროლდა კომპანიის საქმიანობა, არ დამტკიცდა ბიზნესგეგმა და არ განხორციელდა მისი შესრულების მონიტორინგი. ამასთანავე, კომპანიის მხრიდან კონკრეტული მიმართვისას, რომელიც ეხებოდა ვალის სანაცვლოდ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, პარტნიორის პასუხი იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დამატებით განმარტებას.

პარტნიორის მხრიდან მაკონტროლებელი ფუნქციების შეუსრულებლობა ვერ უზრუნველყოფს კომპანიაში ჯანსაღი კონტროლის გარემოს შექმნას. შესაბამისად, შესაძლოა ვერ განხორციელდეს ნაკლოვანებების, სისტემური რისკებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე სათანადო რეაგირება.

გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. კომპანიის ხელმძღვანელობას

კომპანიის ეფექტიანი მართვისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შპს „საქართველოს ფოსტამ“ შეიმუშაოს ფასწარმოქმნის პოლიტიკა.

რეკომენდაცია N2. კომპანიის ხელმძღვანელობას

„საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“³ ხარვეზიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შპს „საქართველოს ფოსტამ“ დააწესოს მონეტარული ზღვარი არა ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების ღირებულების, არამედ საქონლისა და მომსახურების ერთგვაროვნების მიხედვით.

რეკომენდაცია N3. კომპანიის ხელმძღვანელობას

ეფექტიანი მართვისა და ფინანსური რესურსის სწორად გასანაწილებლად, მნიშვნელოვანია, შპს „საქართველოს ფოსტამ“ სრულყოფილად გაითვალისწინოს დასაგეგმი წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვები. შესყიდვების გეგმაში აუცილებელი ცვლილების შემთხვევაში, შეიმუშაოს ისეთი პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ცვლილების საფუძვლისა და მიზნობრიობის დოკუმენტირებას.

რეკომენდაცია N4. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს ფოსტაში“ შემუშავდეს დანამატების გაცემის კრიტერიუმები და დასაბუთების წესი, რომლითაც მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების საფუძველზე დარეგულირდება დამატებითი ანაზღაურებების ოდენობა და განისაზღვრება მათი გაცემის მიზანშეწონილობა.

რეკომენდაცია N5. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

შპს „საქართველოს ფოსტაში“ გამოვლენილი დარღვევების პრევენციის, საქმიანობის ეფექტიანი დაგეგმვის, კონტროლისა და კომპლექსურ საკითხებზე სწორი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აუცილებელია პარტნიორთა კრების ფუნქციები სრულდებოდეს კომპანიის წესდების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს შპს „საქართველოს ფოსტის“ წლიური

³ საქართველოს მთავრობის დადგენილებები: N409, 18.08.2016; N397, 11.08.2017.

ბიზნესგეგმების პროექტების განხილვა, დამტკიცება და კომპანიის საქმიანობაზე შესაბამისი ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით შეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებდეს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, შეიცავს თუ არა შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესწავლის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- შემოსავლების განკარგვა;
- ქონების მართვა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- შპს „საქართველოს ფოსტის“ წესდება;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს N409 დადგენილება;
- „შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს N397 დადგენილება;
- „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება;

- „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება;
- „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის N 1-1/1732 ბრძანება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ძირითადი აუდიტორული პროცედურები, გამოკითხვა, ხელახალი გაანგარიშება, ანალიტიკური პროცედურები, ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან, დაკვირვება და შემოწმება.

ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა

შპს „საქართველოს ფოსტა“ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოა. კომპანიის წილის 100%-ს ფლობს საქართველოს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია: პარტნიორთა საერთო კრება⁴ და დირექტორი. პარტნიორთა საერთო კრება მართვის უმაღლესი ორგანოა და გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის: ახალი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა, კომპანიის ბიზნესგეგმების დამტკიცება და მისი შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, დირექტორის საქმიანობის კონტროლი, ძირითადი საშუალებების განკარგვა და სხვ. დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის მიმდინარე საქმიანობას.

კომპანია საქმიანობას ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: საფოსტო მომსახურება, გადაზიდვები და საცალო ვაჭრობა. საფოსტო მომსახურება წარმოადგენს მთავარ, ხოლო ტვირთის გადაზიდვა და საცალო ვაჭრობა – დამატებით საქმიანობას.

საფოსტო მომსახურება მოიცავს საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ჩაბარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. საფოსტო გზავნილად მიიჩნევა ნებისმიერი ამანათი, რომლის წონაც ნაკლებია 30 კგ-ზე. შპს „საქართველოს ფოსტა“ არის მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრი და თანამშრომლობს 191 ქვეყანასთან, რაც ამარტივებს საფოსტო გზავნილების მიმოცვლას. ქვეყნის ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა ხორციელდება 82 სერვისცენტრის მეშვეობით.

ტვირთების გადაზიდვა მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივ გადაზიდვებს და **სატერმინალო მომსახურებებს**. საერთაშორისო გადაზიდვებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შერეულ ტვირთებს, რაც გულისხმობს ერთდროულად სხვადასხვა ტიპის საქონლის ტრანსპორტირებას, რომლითაც ძირითადად მარაგდება თბილისში, ლილოს ტერიტორიაზე არსებული ბაზრობა. ტვირთის გადაზიდვა უმეტესად ხდება ჩინეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან.

⁴ პარტნიორთა საერთო კრებას წარმოადგენს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

შპს „საქართველოს ფოსტას“ შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული აქვს საბაჟო საწყობის საქმიანობისა და დეკლარირების უფლება. აღნიშნულ მომსახურებას ძირითადად იყენებენ შერეული ტვირთების მფლობელები დეკლარირების პროცესის დასაჩქარებლად.

საცალო ვაჭრობისთვის კომპანია იყენებს იჯარით აღებულ ჯიხურებს. აღნიშნული ჯიხურები ეკუთვნის შპს EXPRESS-ს, რომლის წილის 70%-ს ფლობს სახელმწიფო.⁵ შპს „საქართველოს ფოსტას“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2011 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანიას 5 წლის ვადით, მართვის უფლებით გადაეცა შპს EXPRESS-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 70% წილი. 2016 წლის 18 ოქტომბერს აღნიშნული მართვის უფლება გაგრძელდა 5 წლის ვადით.

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 270 სავაჭრო ჯიხური, რომელთაგან 160 – თბილისშია, ხოლო 110 – რეგიონებში. აღნიშნული ჯიხურებიდან, სხვა სარეალიზაციო პროდუქციასთან ერთად, ფოსტა ყიდის შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ გათამაშების ბილეთებს. შპს „საქართველოს ფოსტას“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2011 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიას მართვის უფლებით გადაეცა შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ (შემდგომ – ლატარიის კომპანია) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 70% წილი.⁶ აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებდა 2015 წლის 23 იანვრამდე.

ზემოაღნიშნული სამეწარმეო საქმიანობებიდან საფოსტო მიმართულება არ არის მომგებიანი. 2017 წელს საფოსტო საქმიანობაში, დაახლოებით, 4 მილიონი ლარის ზარალი დაფიქსირდა. კომპანიის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მომხმარებლისთვის უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით ფოსტას დაწესებული აქვს მინიმალური ტარიფები.

საფოსტო მომსახურებიდან მიღებული ზარალი ნაწილობრივ კომპენსირდება ვაჭრობიდან და გადაზიდვებიდან მიღებული მოგებით. მიუხედავად ამისა, 2017 წელს კომპანიას დაუფიქსირდა უარყოფითი ფინანსური შედეგი და ჯამურმა საოპერაციო ზარალმა 1.5 მილიონი ლარი შეადგინა.

⁵ შპს EXPRESS-ის 30% წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება „ედპროჯექტს“ ინკ. ADPROJECTS INC., ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.).

⁶ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 30% წილის მფლობელია შპს „ლექსორ კაპიტალ კორპ.“, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.).

უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულება საქართველოს აღებული აქვს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე.⁷ შეთანხმების მიხედვით, უნივერსალური მომსახურება გულისხმობს განსაზღვრული ხარისხის საფოსტო მომსახურების მუდმივ უზრუნველყოფას ტერიტორიის ყველა პუნქტის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.

კომპანიის გამარტებით, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს კანონი საფოსტო საქმიანობის შესახებ,⁸ რომელიც განსაზღვრავს ოპერატორის დანიშვნის წესსა და უნივერსალური საფოსტო მომსახურების სახეებს, საქართველოს ფოსტა „დეფაქტო“ ასრულებს ამ ფუნქციას, გამომდინარე სახელმწიფოს მიერ აღებული ზემოაღნიშნული ვალდებულებიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია⁹ 2017 წელს კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ:

⁷ ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 99.

⁸ 1999 წლის 23 ივლისის მიღებული საქართველოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა 2005 წლის 25 დეკემბერს.

⁹ მონაცემები აღებულია აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

ცხრილი N1. შემოსავლები და ხარჯები (ათას ლარებში)

შემოსავლები	საქმიანობის ტიპი	ხვედრითი წილი		
		2016	2017	2017
		70,691	86,770	100%
საფოსტო მომსახურებიდან	ფოსტა	17,316	26,236	30.20%
საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციებიდან	ფოსტა	5,489	6,774	7.80%
ტვირთის გადაზიდვიდან	გადაზიდვა	15,847	16,195	18.70%
პროდუქციის რეალიზაციიდან	ვაჭრობა	29,276	34,620	39.90%
სარეკლამო მომსახურებიდან	ვაჭრობა	1,723	1,749	2.00%
პრესის გავრცელებიდან	ვაჭრობა	140	152	0.20%
სხვა შემოსავალი	სხვა	900	1,044	1.20%
საოპერაციო ხარჯები		(71,988)	(88,278)	100%
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(25,037)	(30,390)	34.40%
ხელფასი		(21,690)	(22,015)	24.90%
საზღვარგარეთის საფოსტო მომსახურების ხარჯი		(3,795)	(10,006)	11.30%
ტრანსპორტირების და გადაზიდვის ხარჯი		(5,622)	(7,772)	8.80%
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,997)	(3,380)	3.80%
საწვავის ხარჯი		(1,876)	(2,770)	3.10%
მივლინების ხარჯი		(1,394)	(1,719)	2.00%
კომუნალური ხარჯი		(1,161)	(1,326)	1.50%
იჯარის ხარჯი		(1,327)	(1,280)	1.50%
პრემია		(672)	(847)	1.00%
დაზღვევა		(675)	(704)	0.80%
მიმდინარე რემონტის ხარჯი		(566)	(545)	0.60%
საკომისიო ხარჯი		(581)	(484)	0.60%
რეკლამის ხარჯი		(148)	(325)	0.40%
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(1,442)	(913)	1.00%
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,005)	(3,802)	4.30%
საოპერაციო ზარალი		(1,297)	(1,508)	-

შემოსავალი საფოსტო მომსახურებიდან მოიცავს წერილობითი კორესპონდენციიდან, საკურიერო და საფელდეგერო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. საფოსტო ამანათების გაგზავნა შესაძლებელია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

საფოსტო მომსახურება ასევე მოიცავს ე.წ. „ტრანზიტულ ფოსტას“, რაც გულისხმობს ჩინეთიდან ჩამოსული ტვირთების¹⁰ გადამუშავების პროცესს, მათ ტრანსფორმაციას საფოსტო გზავნილად და გაგზავნას დანიშნულების ადგილზე. აღნიშნული მომსახურებისთვის შპს „საქართველოს ფოსტა“ იღებს შემოსავალს კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციები შედგება მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრი ქვეყნებიდან განხორციელებული გზავნილებიდან მიღებული შემოსავლებისგან. საქართველოში შემოსული საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას და ადრესატისათვის ჩაბარებას ახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტა“. მომსახურების ღირებულებას იხდის გამომგზავნი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაცია.

შემოსავლები გადაზიდვიდან მოიცავს საერთაშორისო სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და შერეული ტვირთების ტრანსპორტირებას საქართველოში.

შპს „საქართველოს ფოსტის“ კონტრაქტორი გადამზიდი კომპანიები უზრუნველყოფენ შერეული ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანას, რის შემდეგაც შპს „საქართველოს ფოსტის“ ტერმინალში ხდება მისი ჩამოტვირთვა, დასაწყობება და მომხმარებლებამდე მიტანა.

გადაზიდვებისთვის მომსახურების მთლიან საფასურს მომხმარებელი იხდის ფოსტის ანგარიშზე, საიდანაც ნაწილდება შპს „საქართველოს ფოსტასა“ და გადამზიდავს შორის. ჩარიცხული თანხიდან ფოსტა იტოვებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტულ წილს, ხოლო დანარჩენ თანხას ურიცხავს კონტრაქტორს. პროცენტული განაწილება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

შემოსავალი ვაჭრობიდან შედგება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებულ ჯიხურებში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან. ძირითადი სავაჭრო პროდუქციაა სიგარეტი, ლატარიის ბილეთები, პერიოდული გამოცემები, საკანცელარიო საქონელი და სხვ. ამ პროდუქციით ჯიხურების მომარაგება ხდება ცენტრალიზებულად, შპს „საქართველოს ფოსტის“ თბილისის ოფისში განთავსებული საწყობიდან.

¹⁰ იგულისხმება ტვირთის სახით ჩამოსული დაუხარისხებელი წერილები.

შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან მოიცავს სავაჭრო ჯიხურებზე რეკლამის განთავსებიდან მიღებულ შემოსავალს.

სხვა შემოსავალი ძირითადად შედგება ქონების რეალიზაციიდან, იჯარიდან და სხვადასხვა საკურიერო მომსახურებიდან (მაგალითად, პირადობის მოწმობების მიწოდება) მიღებული შემოსავლებისგან.

საზღვარგარეთის საფოსტო მომსახურების ხარჯი გულისხმობს მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრ ქვეყნებში გზავნილების განხორციელებაზე გაწეულ ხარჯებს. მიმღები ქვეყანა უზრუნველყოფს საერთაშორისო საფოსტო გზავნილის მიღება-დახარისხებასა და ადრესატისათვის ჩაბარებას, რის ღირებულებასაც შპს „საქართველოს ფოსტა“ უხდის მიმღები ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას.

მივლინების ხარჯი მოიცავს როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლების, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებზე დასაქმებული მძღოლების საზღვარგარეთ მივლინების ხარჯებს.

იჯარის ხარჯი ძირითადად შედგება ლილოს ტერიტორიაზე არსებული ტერმინალის და ვაჭრობისთვის განკუთვნილი ჯიხურების იჯარის ხარჯებისგან.

სხვა საოპერაციო ხარჯი შედგება კომუნიკაციის, საკანცელარიო, აუდიტორული და იურიდიული მომსახურების, სამეურნეო და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯებისგან.

მიმდინარე რემონტის ხარჯი ძირითადად შედგება კომპანიის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთების ხარჯებისგან. აღნიშნული მუხლი მოიცავს აგრეთვე ოფისისა და სავაჭრო ჯიხურების მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

საკომისიო ხარჯის უდიდესი ნაწილი შედგება შპს „ლილო კაპიტალისთვის“ საკომისიოს სახით გადახდილი თანხებისგან („ლილო კაპიტალი“ შუამავალია ლილოში მოვაჭრე პირებსა და შპს „საქართველოს ფოსტას“ შორის შერეულის ტვირთების გადაზიდვის ადმინისტრირების საკითხებში). აღნიშნული მუხლი მოიცავს აგრეთვე ფოსტის მიერ სერვისების განვითარების სააგენტოსთვის გადახდილ საკომისიოებს, პირადობის მოწმობების სახლში მიტანის საფასურს ფოსტისათვის გადახდილი თანხებიდან.

აუდიტის მიგნებები

1 შემოსავლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

კომპანიის დაფინანსების წყაროა საკუთარი შემოსავლები, რომლის სათანადოდ დაგეგმვა და განკარგვა მნიშვნელოვანია წესდებით განსაზღვრული მიზნის, მოგების მიღების უზრუნველსაყოფად.

1.1 საფოსტო მომსახურების ფასწარმოქმნის პრინციპები

ტარიფები ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო მომსახურებებისთვის დადგენილია შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ფოსტა უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიის ყველა პუნქტის ყველა მომხმარებლისათვის საფოსტო მომსახურების **ხელმისაწვდომ** ფასად მიწოდებას. კომპანიაში არ არსებობს ფასწარმოქმნის კალკულაცია და არ არის დადგენილი – ტარიფის როგორი ზღვარი იქნება ხელმისაწვდომი მომხმარებელთა სხვადასხვა სეგმენტისათვის, ასევე არ არის შესწავლილი ბაზარი, კონკურენტული გარემო და ყველა ტიპის მომხმარებლისთვის დაწესებულია ერთი ტარიფი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წლის შემოსავლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი საფოსტო მომსახურების შემოსავლის 99% მიღებულია იურიდიული პირებიდან, ხოლო 1% – ფიზიკური პირებისგან. ფიზიკური პირების პროცენტულად დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა გამოწვეული იყოს მოთხოვნის ნაკლებობით, ხოლო იურიდიული პირების მაღალი ხვედრითი წილი – კონკურენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი ფასით.

ფიზიკური და იურიდიული პირების მსგავსი განაწილება მიუთითებს დამატებითი ანალიზის საჭიროებაზე, რათა მოხდეს მომხმარებელთა სეგმენტაცია სხვადასხვა, მათ შორის, გადახდისუნარიანობის პრინციპით. ამასთანავე, ბაზრისა და კონკურენტული გარემოს კვლევის შედეგების, ასევე კომპანიის გაცხადებული მიზნების¹¹ გათვალისწინებით, უნდა მოხდეს დივერსიფიცირებული ტარიფების დაწესების

¹¹ ერთი მხრივ, ხელმისაწვდომ ფასად მომსახურების მიწოდება და მეორე მხრივ, მოგების მიღება.

შესაძლებლობის განხილვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს კომპანიას უფრო ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოიყენოს საკუთარი რესურსი და მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება, თუ რამდენად გონივრულია ყველა ტიპის მომხმარებლისათვის ერთი და იმავე ტარიფის დაწესების გადაწყვეტილება და რამდენად გამართლებულია მსგავსი მიდგომა კომპანიის ეკონომიკური მიზნებისთვის.

1.2 ფასწარმოქმნა გადაზიდვებში

გადაზიდვის მომსახურებაზე ტარიფები რეგულირდება თითოეულ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შერეული ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში, ხელშეკრულება ასევე მოიცავს შემოსავლის პროცენტულ განაწილებას გადამზიდვს და შპს „საქართველოს ფოსტას“ შორის.

კომპანიას არ აქვს დადგენილი ტარიფის დათვლის საფუძვლები. ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პრინციპით ხდება შემოსავლის პროცენტული განაწილება კომპანიასა და გადამზიდვს შორის. მსგავსი არასისტემური მიდგომა ვერ ჩაითვლება ჯანსაღი ფინანსური მმართველობის მაგალითად და შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

შპს „საქართველოს ფოსტაში“ არ არის დადგენილი ფასწარმოქმნის პრინციპები საფოსტო და გადაზიდვის მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლებისთვის.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რამდენად ეფექტიანი და გონივრულია არსებული სატარიფო პოლიტიკა, ასევე გადაზიდვებში დადგენილი პროცენტული განაწილების დაუსაბუთებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს შემოსავლების ფორმირებაზე.

რეკომენდაცია N1. კომპანიის ხელმძღვანელობას

კომპანიის ეფექტიანი მართვისთვის და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შპს „საქართველოს ფოსტაში“ შეიმუშაოს ფასწარმოქმნის პოლიტიკა.

2 შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შესყიდვები განხორციელებულია როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“¹² შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მიერ 2017 წელს დაგეგმილი და ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების შესახებ:

ცხრილი N2. 2017 წელს განხორციელებული შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	გეგმა ლარი	ფაქტობრივი ხარჯი			ხელშეკრულებების რაოდენობა
		ლარი	აშშ დოლარი	ევრო	
ელექტრონული ტენდერი	11,756,411	6,079,704			235
კონსოლიდირებული ტენდერი	4,536,700	4,448,338			39
გამარტივებული შესყიდვა	2,108,812	1,236,196			166
სპეციალური წესი	-	2,485,599	17,320	32,470	1,221
სულ:	18,401,923	14,249,837	17,320	32,470	1,661

„საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესი“ შემსყიდველის მიზნების შეუფერხებლად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით, ამარტივებს შესყიდვების პროცედურებს. ამ წესის თანახმად,¹³ შემსყიდველის მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს, თუ შესყიდვის შესახებ ერთჯერადად დასადები გარიგების ღირებულება არ აღემატება 100,000 ლარს.

ზემოაღნიშნული ზღვარი ეხება ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების და არა წლის განმავლობაში ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის ღირებულებას. აღნიშნული ჩანაწერი არის ხარვეზიანი და ხელშეკრულების ხელოვნურად დაყოფის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკს.

¹² საქართველოს მთავრობის დადგენილებები: N409, 18.08.2016; N397, 11.08.2017.

¹³ მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

რეკომენდაცია N2. კომპანიის ხელმძღვანელობას

„საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“ ხარვეზიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შპს „საქართველოს ფოსტამ“ დააწესოს მონეტარული ზღვარი არა ერთჯერადად დასადები ხელშეკრულების ღირებულების, არამედ საქონლისა და მომსახურების ერთგვაროვნების მიხედვით.

2.1 შესყიდვების დაგეგმვა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, შემსყიდველის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესრულებული სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა მარაგების გათვალისწინებით.¹⁴

შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ. წლის განმავლობაში გეგმა შეიცვალა 76-ჯერ. საბოლოოდ გეგმა დაზუსტდა 2017 წლის 21 დეკემბერს და ითვალისწინებდა 18,401,922 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას, თუმცა ფაქტობრივმა ხარჯმა მხოლოდ 11,764,238 ლარი შეადგინა (64%).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიაში სათანადოდ არ დოკუმენტირდება შესყიდვების გეგმის ცვლილებების მიზნობრიობა და საფუძველი.

კომპანიაში არ მზადდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“¹⁵ საფუძველზე განსახორციელებელი შესყიდვების წლიური გეგმა. **მიუხედავად გეგმის მომზადებაზე საკანონმდებლო მოთხოვნების არარსებობისა**, შესყიდვების დეტალური და დროული დაგეგმვა მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების გადინების ეფექტიანი პროგნოზირებისათვის.

¹⁴ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

¹⁵ მუხლი 14, პუნქტი 10.

რეკომენდაცია N3. კომპანიის ხელმძღვანელობას

ეფექტიანი მართვისა და ფინანსური რესურსის სწორად გასანაწილებლად, მნიშვნელოვანია, შპს „საქართველოს ფოსტამ“ სრულყოფილად გაითვალისწინოს დასაგეგმი წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვები. შესყიდვების გეგმაში აუცილებელი ცვლილების შემთხვევაში, შეიმუშაოს ისეთი პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ცვლილების საფუძვლისა და მიზნობრიობის დოკუმენტირებას.

2.2 ზედმეტად გადახდილი თანხები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის¹⁶ თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) მიწოდება ან/და იმპორტი¹⁷ და ბეჭდვის მომსახურების გაწევა.¹⁸ შესაბამისად, მსგავსი ტიპის პროდუქტის და მომსახურების შესყიდვის თანხა არ უნდა შეიცავდეს დღგ-ს. კომპანიამ აღნიშნული საქონელი და მომსახურება შეისყიდა დღგ-ის ჩათვლით, კერძოდ:

2017 წლის 30 ნოემბერს შპს „აიფუდისგან“¹⁹ გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდულია ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ღირებულებით – 92,700 ლარი, დღგ-ის ჩათვლით. თანხა მომწოდებლისთვის გადახდილი იქნა სრულად. დღგ-ის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა 14,140 ლარი.

2017 წლის 22 თებერვალს ბეჭდვის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი²⁰ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 125,762 ლარი, დღგ-ის გარეშე. ტენდერში გაიმარჯვა შპს „გამომცემლობა კოლორმა“ (100,890 ლარი). ხელშეკრულება მასთან გაფორმდა დღგ-ის გათვალისწინებით 119,039 ლარზე. მომსახურების ღირებულება 2017 წელს გადახდილია სრულად. დღგ-ის სახით მომწოდებლისთვის გადახდილია 18,159 ლარი. ანალოგიურად, 2017 წელს ბეჭდვით მომსახურებაზე დღგ-ის სახით თანხები გადახდილია კიდევ 4 მომწოდებლისათვის,²¹ ჯამური – 10,104 ლარის ოდენობით.

¹⁶ მუხლი 168.

¹⁷ პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ნ“.

¹⁸ პუნქტი 2, ქვეპუნქტი „კ“.

¹⁹ ხელშეკრულება NG-37, 20.09.2017.

²⁰ NAT 170001123.

²¹ NAT160004358, NAT170000799, NAT 170001139, NAT 170011891.

არასწორად გადახდილი დღგ-ის შედეგად, 2017 წელს კომპანიიდან, საჭიროების გარეშე, სულ დაიხარჯა 42,403 ლარი. თუმცა ამ თანხის ნაწილი კომპანიამ ჩაითვალა და აღიარა როგორც საგადასახადო აქტივი, ნაწილი კი, კერძოდ, შპს „აიფუდისთვის“ გადახდილი 13,866 ლარი არ არის ჩათვლილი და ექვემდებარება დაბრუნებას მომწოდებლის მხრიდან.

2.3 სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების შედგენა

სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა დოკუმენტირდებოდეს კომისიის სხდომების ოქმებში, ამიტომ მნიშვნელოვანია ოქმებში კომისიის გადაწყვეტილებების ადეკვატური და ზუსტი ასახვა.

2017 წელს ტენდერით განხორციელებული შესყიდვებისას, ზოგ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები არასწორად და უყურადღებოდ იყო შედგენილი. დაშვებული ტექნიკური შეცდომები სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებებს გაუგებარს ხდიდა, მაგალითად:

2017 წლის 31 მაისს, შპს „გრემი 2012“-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების²² განხილვის მიზნით ჩატარებული სხდომის ოქმში დაფიქსირდა, რომ სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „მონოლითის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დაადგინა, რომ იგი შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს („მონოლითი“ კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული იყო წინა დღეს). ამავე ოქმით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალგეთი 2012“, რომელსაც ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია.

მსგავსი ხარვეზები ასევე გამოვლინდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების²³ და სათვალთვალო და დაცვის სისტემების²⁴ შესყიდვის ტენდერებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული შეცდომებისა, ტენდერში გამარჯვებულ შესაბამის მომწოდებლებთან ხელშეკრულებები გაფორმდა სწორად, თუმცა, აღწერილი გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ სატენდერო კომისიის წევრები დეტალურად არ ეცნობიან ოქმების შინაარსს და მათი ხელმოწერები ფორმალური ხასიათისაა. შესაბამისად, აღნიშნულ

²² ქ. ქობულეთის სერვისცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი NAT 170005108.

²³ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი NAT 170013166.

²⁴ სათვალთვალო და დაცვის სისტემების და აპარატურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი NAT 170014400.

პროცესთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმი არ მუშაობს გამართულად და შესაძლოა, ხელშეკრულება სატენდერო პირობების შეუსაბამოდ გაფორმდეს.

2.4 კონკურენციის შეზღუდვა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,²⁵ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული, არადისკრიმინაციული და ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტენდერით შესყიდვისათვის ჩატარებული ბაზრის კვლევის დროს ფოსტამ მოიძია ინფორმაცია ბაზარზე არსებული ისეთი ორი მოდელის შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კომპანიის საჭიროებებს. სატენდერო დოკუმენტაციაში კი ტექნიკური პარამეტრები განისაზღვრა ისე, რომ მოთხოვნებს მხოლოდ ერთი მოდელი პასუხობდა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ერთ-ერთი მოდელის ტენდერში მონაწილეობა გამოირიცხა, რაც, ფაქტობრივად, ზღუდავს კონკურენტულ გარემოს. შედეგად, ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რის გამოც არ მომხდარა ფასის კლება და ავტოსატრანსპორტო საშუალებები ფოსტამ შეისყიდა სავარაუდო ღირებულების ფასად. ტენდერის კონკურენტულ გარემოში ჩატარების შემთხვევაში, შესაძლოა, კომპანიას დაეზოგა ფინანსური რესურსი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N3-ში წარმოდგენილია ინფორმაცია აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით:

ცხრილი N3. ტენდერი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე

ტენდერის ნომერი	პარამეტრი	სატენდერო მოთხოვნა	შეთავაზება N1 („ფორდი“)	შეთავაზება N2 („ფიატი“)	შესყიდვის ღირებულება
NAT170013167	სიგრძე	4500 – 5200 მმ	4418 მმ	4756 მმ	200,812 ლარი

²⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13.

2.5 ტექნიკური პარამეტრების არასათანადოდ განსაზღვრა

შპს „საქართველოს ფოსტამ“ 198,300 ლარად შეისყიდა უნაგირა საწევარა.²⁶ გამოცხადებული ტენდერის ტექნიკური მოთხოვნები შედგენილი იყო არასათანადოდ და არ იყო დასაბუთებული. კერძოდ, მოთხოვნილი იყო, რომ უნაგირა საწევარას სიგრძე არ უნდა ყოფილიყო 3570 მმ-ზე მეტი, თუმცა ქვედა ზღვარი დაწესებული არ ყოფილა. შესაბამისად, არსებობდა იმის რისკი, რომ გაემარჯვა კომპანიას, რომელიც შესთავაზებდა გაცილებით ნაკლები ზომის ტექნიკას, რაც შესაძლოა, კომპანიას ფოსტის საქმიანობისთვის სათანადოდ ვერ გამოეყენებინა. აღსანიშნავია, რომ სხვა პარამეტრების მოთხოვნის საჭიროებაც არ იყო დასაბუთებული. კომპანიამ სატენდერო პარამეტრები განსაზღვრა კონკრეტული მიმწოდებლის მონაცემების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამეტრები:

ცხრილი N4. უნაგირა საწევარა (შპს „ჯაოკენი მოტორსი“)

მახასიათებლები	დოკუმენტაციით მოთხოვნილი	პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი
უნაგირა საწევარა		
სიგრძე (საბუქსირეს ჩათვლით)	არა უმეტეს 3570 მმ	3570 მმ
ბორბლებს შორის ბაზა	არა უმეტეს 1760 მმ	1760 მმ
მობრუნების რადიუსი	არა უმეტეს 3900 მმ	3900 მმ
წონა კაბინით	არა უმეტეს 3900 კგ	3900 კგ
საბუქსირე მოცულობა	არა უმეტეს 35000 კგ	35000 კგ
საწვავის ავზის მოცულობა	არა უმეტეს 80 ლიტრი	80 ლიტრი
მისაბმელი ურიკები		
სიგანე	არა უმეტეს 3460 მმ	3460 მმ
წონა	არა უმეტეს 1100 კგ	1100 კგ
ტვირთამწეობა	არა ნაკლებ 7000 კგ	7000 კგ
დასატვირთი პლატფორმის ზომა	არა უმეტეს 2660 x 3460	2660 x 3460

2.6 სარეკლამო მომსახურების შესყიდვა

ფინანსური რესურსის რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შესყიდვის ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შესყიდვის საგნის მახასიათებელი,

²⁶ NAT170001651.

მოცულობა და მიწოდების ვადები. ასევე თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფაქტობრივად მიღებული საქონლისა და მომსახურების შესაბამისად.

საფოსტო საქმიანობისათვის რეკლამის დამზადებისა და განთავსების მომსახურების შესყიდვები განხორციელებულია საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. ზოგ შემთხვევაში სარეკლამო მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტებში (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვ.) გარკვევით არ არის მითითებული ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია სარეკლამო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის დასადგენად, კერძოდ:

- 2017 წლის 17 მაისს შპს „კომპანია მედიასტრიმთან“ გაფორმებული ხელშეკრულების²⁷ საგანს წარმოადგენდა სარეკლამო რგოლის დამზადების და მისი რადიო „ენერჯის“ ეთერში განთავსების მომსახურების შესყიდვა. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურება უნდა მიწოდებულიყო ეტაპობრივად, არა უგვიანეს 2017 წლის 30 ივნისისა, 30-წამიანი რგოლის ეთერში, დღეში 24-ჯერ განთავსებით. ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილ სარეკლამო მომსახურების მედიაგეგმაში კი სარეკლამო რგოლის ქრონომეტრაჟად მითითებულია 23 წამი, ხოლო ეთერში განთავსების პერიოდი – 17 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით. სამუშაოთა შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2017 წლის 23 მაისს, ანუ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 6 დღეში. აქტში დაფიქსირდა, რომ კომპანიამ მიიღო მომსახურება, რისთვისაც კონტრაქტორისთვის გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება 12,108 ლარი. ჩვენ ვერ დავრწმუნდით, სრულად მიიღო თუ არა ფოსტამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 2017 წლის 5 ივლისს ფიზიკურ პირთან გაფორმდა ხელშეკრულება,²⁸ საფოსტო პროდუქტის მხარდამჭერი მარკეტინგული და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვაზე. მომსახურება გულისხმობდა კომპანიის რეკლამის განთავსებას ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე (35-40 მ² სამ განზომილებიანი ნახატი) და PR

²⁷ N M-100.

²⁸ N M-139.

აქტივობას. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 28,687 ლარს. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, 7 დღის განმავლობაში (26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით). წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა, სამ განზომილებიანი ნახატის დამზადების ღირებულება, მისი განთავსების ზუსტი ფართი, რაში გამოიხატებოდა PR აქტივობა და რას შეადგენდა მისი ღირებულება.

შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, მიიღო თუ არა კომპანიამ გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურება. აღსანიშნავია, რომ თანხა კონტრაქტორისათვის ანაზღაურებულია მთლიანად.

- შპს „ჯორჯია თუდეი ჯგუფთან“ 2017 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების²⁹ საფუძველზე შესყიდულ იქნა საფოსტო საქმიანობის რეკლამის განთავსების მომსახურება, რომელიც გულისხმობდა 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჟურნალ OK-ის ღონისძიებაზე რეკლამის განთავსებას, ჯამური ღირებულებით – 25,000 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, არა უგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა. როგორც მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, შემსრულებელს ჟურნალ OK-ის ღონისძიებაზე სარეკლამო მომსახურება გაწეული აქვს მხოლოდ 2017 წლის 1 ნოემბერს. თანხა მომწოდებლისთვის გადახდილია სრულად. კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულებაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა და მომსახურება გულისხმობდა რეკლამის არა მრავალჯერადად არამედ ერთხელ განთავსებას ნოემბერში ჩატარებულ ღონისძიებაზე.

შპს „საქართველოს ფოსტამ“ ვერ წარმოადგინა სათანადო დასაბუთება, რაც დაგვარწმუნებდა, რომ ზემოაღნიშნული შესყიდვები განხორციელებულია სახელშეკრულებო მოთხოვნების სრული დაცვით. შესაბამისად, გამოვლენილი ნაკლოვანებები ზრდის კომპანიის თანხების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

²⁹ N M-188.

3 ქონების მართვის ნაკლოვანებები

3.1 სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერა

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის³⁰ თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელის წერილობითი გადაწყვეტილებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც შეისწავლის ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას და ასახულებს ძირითადი საშუალების საწარმოს ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას, ძირითადი საშუალებები ბალანსიდან უნდა ჩამოწეროს. კომისია ადგენს ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და ლიკვიდაციის აქტებს თითოეულ ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე, ზემოაღნიშნული წესით დამტკიცებული ფორმებით.

კომპანიაში სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერისას, ძირითადი საშუალებების განკარგვის აღნიშნული წესი გათვალისწინებული არ არის. ჩამოსაწერი სატრანსპორტო საშუალებები განისაზღვრა შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასიუდიტის“ 2017 წლის 29 მაისის აუდიტორული დასკვნით,³¹ რომლის საფუძველზეც ჩამოსაწერად მიჩნეულია 180 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, კერძოდ: 171 ერთეული მოტოსკუტერი „მონდიალი“ (გამოშვების წლები: 2011-2014), 7 ერთეული „იამაჰა“ (2008 წელი) და 2 კვადროციკლი (2011 წელი). დასკვნის თანახმად, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისათვის, მათი აღდგენა არარენტაბელურია, არ გამოდგება მარაგანაწილების კუთხით, მოძველებულია ფიზიკურად და მორალურად. ამავე დასკვნის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 12,225 ლარს, ჩამოწერის შემდეგ ჯართად რეალიზაციას დაქვემდებარებული მასალების წონა 2,765 კგ-ს, ხოლო სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულება – 967 ლარს.

წარმოდგენილი მასალების გაანალიზებით და ჩამოწერილი სატრანსპორტო საშუალებების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასიუდიტის“ მიერ სარეალიზაციო ჯართის წონაში არ არის შეყვანილი ჩამოსაწერი სატრანსპორტო საშუალებების ძრავები, ამორტიზატორები და სხვა ნაწილები. ფოსტის წარმომადგენელი პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, აღნიშნული ნაწილები შესაძლოა

³⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/1732, 29/10/2010, მუხლი 3.

³¹ ხელშეკრულება N M -52, 8.02.2017.

გამოყენებულ იქნას მარაგნაწილებად, რაც ეწინააღმდეგება აუდიტორული კომპანიის ზემოთ მითითებულ დასკვნას მარაგნაწილების გამოსადეგობასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის ზემოთ მითითებული წესის თანახმად,³² უნდა დადგინდეს ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება და მოხდეს მარაგების სახით ბალანსზე აყვანა.

ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ნაწილების მარაგების სახით აღურიცხაობა ზრდის მათი დაკარგვის და არამიზნობრივად გამოყენების რისკს. მსგავს შემთხვევებში, კომპანია მოკლებული იქნება შესაძლებლობას, სარგებელი მიიღოს საკუთარი მატერიალური რესურსებიდან.

3.2 ქონების გადაცემა და ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების³³ საფუძველზე, შპს „საქართველოს ფოსტას“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2011 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანიას მართვის უფლებით გადაეცა შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 70%-იანი წილი. აღსანიშნავია, რომ დარჩენილ 30%-იან წილს ფლობს ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული შპს „ლექსორ კაპიტალ კორპ.“

ლატარიის კომპანიასა და ფოსტას შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის³⁴ თანახმად, თუ დროებით სასყიდლიან სარგებლობაში ადრე გადაცემული ან/და

³² მუხლი 3, პუნქტები 4 და 5.

³³ 2011 წლის 11 აგვისტოს N 11/08/14 განკარგულება.

³⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/1732, 29/10/2010, მუხლი 4.

გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა აღემატება 50 მ²-ს, საჭიროა აღნიშნული ფართის გადაცემა წინასწარ შეთანხმდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან.

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიასთან“ 2011 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „საქართველოს ფოსტამ“ აიღო ლატარიის ბილეთების დისტრიბუცია/რეალიზაციის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ვალდებულებები. ასევე, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ფოსტამ ლატარიის კომპანიას დროებით სარგებლობაში გადასცა საოფისე ფართები.

აღნიშნული ვალდებულებების სანაცვლოდ, გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი (14%-16%) რჩებოდა შპს „საქართველოს ფოსტას“. ხელშეკრულება დაიდო ერთი წლის ვადით. მისი მოქმედების ვადა გრძელდებოდა ყოველწლიურად, 2017 წლის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე,³⁵ ლატარიის კომპანიას დროებით სარგებლობაში გადაეცა სხვადასხვა დანიშნულების ფართი, ჯამში – 560 კვ.მ, შესაბამისად, ფოსტას სჭირდებოდა პარტნიორის თანხმობა.

შპს „საქართველოს ფოსტამ“ ვერ წარმოადგინა სააგენტოს თანხმობა აღნიშნული ფართების დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე ზრდის მათი არამიზნობრივად გამოყენების რისკს.

ქონების გადაცემა დავალიანების სანაცვლოდ

2012 წლის 1 სექტემბერს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიასა“ და შპს „საქართველოს ფოსტას“ შორის მოძრავი ნივთებისა და ინვენტარის მიქირავებაზე³⁶ (სულ: 1,402 ერთეული) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფოსტას ლატარიის კომპანიისთვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 27,572 ლარი (ხელშეკრულების მიხედვით, ქირის აღნიშნული ოდენობა დადგენილია შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასიაუდიტის“ აუდიტორული დასკვნით, თუმცა კომპანიამ აღნიშნული აუდიტორული დასკვნა ვერ წარმოადგინა). ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად

³⁵ პუნქტები 3.1.4 – 3.1.7.

³⁶ საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.

გრძელდებოდა იმავე ვადით, თუ რომელიმე მხარე არ შეატყობინებდა მეორე მხარეს მისი დასრულების თაობაზე.

შპს „საქართველოს ფოსტას“ არ გადაუხდია 2 წლის საიჯარო ქირა. მიუხედავად იმისა, რომ ქირის ოდენობა დაადგინა დამოუკიდებელმა აუდიტორმა, გადაუხდელობის მოტივად კომპანიის მხრიდან დასახელდა ქირის საბაზრო ფასზე მაღალი განაკვეთი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება არ შეწყვეტილა 2 წლისა და 4 თვის მანძილზე.

2015 წლის 24 აპრილს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაუხდელი საიჯარო ქირის დაკისრება, ჯამში – 661,728 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, 2015 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა ლატარიის კომპანიის სარჩელი და ფოსტას გამქირავებლის სასარგებლოდ დაეკისრა ქირის დავალიანების გადახდა, 661,728 ლარის ოდენობით.

2018 წლის დასაწყისში მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების აქტს, რომლითაც ფოსტამ თანხმობა განაცხადა ლატარიის კომპანიისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემაზე, ხოლო ეს უკანასკნელი უარს ამბობდა 661,728 ლარის მოთხოვნის უფლებაზე.

მორიგების აქტით ლატარიის კომპანიას გადაეცა ფოსტის კუთვნილი უძრავი ქონება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, სენაკში, ვანში, შუახევსა და თიანეთში. გადაცემული უძრავი ქონების საერთო ფართობმა შეადგინა 1,858.85 კვ.მ, რომელიც ასევე შეაფასა შპს „საკონსულტაციო ჯგუფმა კავკასიაუდიტმა“ და აუდიტორული დასკვნით³⁷ გადაცემული ფართის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 660,300 ლარი.

ვალის სანაცვლოდ, უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით კომპანიის თანხმობის თხოვნის წერილზე,³⁸ ქონების ეროვნული სააგენტოს პასუხი³⁹ ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გთხოვთ, იმოქმედოთ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“. პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარია, ეთანხმება თუ არა სააგენტო ვალის სანაცვლოდ ქონების გასხვისებას.

³⁷ 2017 წლის 18 დეკემბრის დასკვნა.

³⁸ NPOST 1700025754, 19.12.2017.

³⁹ N5/67235, 25.12.2017.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვერ დარწმუნდა, რამდენად არის დაცული მარეგულირებელი ნორმის მოთხოვნა და შეთანხმებულია თუ არა საკითხი სააგენტოსთან. ასევე, რამდენად მართლზომიერია ფოსტის ქმედებები სახელმწიფო ქონების ასეთი ფორმით გასხვისებასთან დაკავშირებით.

ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის⁴⁰ მიხედვით, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად ან წარმომადგენელს ჰქონდა წინასწარი თანხმობა.

ლატარიის კომპანიასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში – ქონების გადაცემა დავალიანების სანაცლოდ და ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში – ხელშეკრულებებს, როგორც ფოსტის, ისე ლატარიის კომპანიის მხრიდან ხელს აწერს ერთი და იგივე პირი, რომელიც ერთდორულად არის ორივე კომპანიის გენერალური დირექტორი.

მსგავსი გარიგების დადებისას შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი. პირისთვის, რომელიც ორი სხვადასხვა მხარისათვის დებს ერთ გარიგებას, რთული გადასაწყვეტია, თუ რომელ წარმოდგენილ მხარეს შეუქმნას საუკეთესო პირობები. ერთისთვის უპირატესობის მინიჭება, ავტომატურად მოქმედებს მეორე მხარის საწინააღმდეგოდ.

ამ შემთხვევაში, ლატარიის კომპანიისთვის დავალიანების სანაცლოდ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხში, ერთ მხარეს წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფო, ხოლო მეორე მხარეს 70%-ით – სახელმწიფო და 30%-ით – კერძო საკუთრებაში არსებული კომპანია,⁴¹ რომელიც მოქმედებს საკუთარი ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ერთი და იმავე პირისათვის რთულდება ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვა.

⁴⁰ 114-ე მუხლი.

⁴¹ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 30% წილის მფლობელია შპს „ლექსორ კაპიტალ კორპ.“, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.).

ინტერესთა კონფლიქტის რისკს უფრო მეტად ზრდის ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებაზე პარტნიორის პასუხი იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დამატებით დაზუსტებას.

აღსანიშნავია, რომ ფოსტის და ლატარიის კომპანიის დირექტორი ასევე არის შპს EXPRESS-ის დირექტორიც. ფოსტის მიერ ზემოთ მითითებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს 2014 წლიდან ხელს აწერს გენერალური დირექტორის მოადგილე, თუმცა ეს ფაქტი არ ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს.

კომპანიაში დანერგილი ზემოაღნიშნული პრაქტიკა მაღალი რისკის მატარებელია რესურსების არარაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული რისკი უფრო იზრდება, როცა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადებული გარიგებები მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, არ თანხმდება, ან არასათანადოდ თანხმდება სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან.

3.3 ინვენტარიზაცია

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით⁴² დამტკიცებული დებულებით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“.

კომპანიაში აღნიშნული დებულებით დადგენილი პერიოდულობით არ ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი საშუალებების ინვენტარიზაცია.

აუდიტის ჯუგფმა, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 2018 წლის 10 მაისს ჩაატარა კომპანიის მარაგებში არსებული ავტონაწილების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციით დაფიქსირებული ფაქტობრივი ოდენობის ბუღალტრულ ნაშთებთან შედარებით გამოვლინდა 18,991 ლარის დანაკლისი (შერჩეული მოცულობის 56%) და 1,187 ლარის

⁴² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება N70.

ზედმეტობა (შერჩეული მოცულობის 16%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრულად დაფიქსირებული ნაშთები არ ედრება საწყობის პროგრამის მონაცემებს.

ინვენტარიზაციის ჩატარების გარეშე, შესაძლოა კომპანიამ ვერ უზრუნველყოს აქტივების ეფექტიანი მართვა, მოძველებული ან დაკარგული აქტივების დროულად აღმოჩენა. შესაბამისად, ვერ განახორციელოს აქტივების სათანადო კონტროლი. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ კომპანიის ბალანსზე ირიცხება 5,094,179 ლარის ღირებულების, 84 ერთეული – გამოუყენებელი და 2,032,876 ლარის ღირებულების, 66 ერთეული – საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი უძრავი ქონება.

4 ადამიანური რესურსების მართვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

4.1 დანამატები

კომპანიის ფულადი რესურსის რაციონალურად განკარგვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული გაცემული დანამატების მიზანშეწონილობა.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2017 წელს გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ:

ცხრილი N5. ინფორმაცია 2017 წლის შრომის ანაზღაურების შესახებ

	ოდეზობა	ხელფასი	ფიქსირებული დანამატი	ცვლადი დანამატი	პრემია
თანამშრომლები	2,038	15,876,610	4,720,057	1,379,023	124,106
ხელმძღვანელობა	12	305,136	515,296	26,105	6,250
სულ:	2,050	16,181,746	5,235,353	1,405,128	130,356

შპს „საქართველოს ფოსტაში“ დანამატების ოდეზობები განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებებით. ფიქსირებული დანამატების დანიშვნის საფუძვლები ბრძანებებში არ არის მითითებული, ხოლო „ცვლადი დანამატები“ ძირითადად გაციემოდა დამატებითი ფუნქცია-მოვალეობებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულებისათვის. კომპანიაში შემუშავებული და დამტკიცებული არ იყო სამუშაო აღწერილობები თითოეული თანამდებობისათვის, უმეტეს სერვისცენტრებს არ გააჩნდათ თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ყოფნის დროის დამაფიქსირებელი ელექტრონული მოწყობილობები, არ ხდებოდა ზეგანაკვეთური მუშაობის და დამატებითი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა.

დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა წარმოშობს შრომის ანაზღაურების თანხების არასამართლიანად განაწილების და ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N4. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს ფოსტაში“ შემუშავდეს დანამატების გაცემის კრიტერიუმები და დასაბუთების წესი, რომლითაც მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების საფუძველზე დარეგულირდება დამატებითი ანაზღაურებების ოდეზობა და განისაზღვრება მათი გაცემის მიზანშეწონილობა.

4.2 შრომითი დავები

კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსალოდნელი ფინანსური შედეგი.

2017 წელს შრომით დავებზე განაცდურის სახით კომპანიის მიერ 19 თანამშრომლისთვის, რომლებიც სამსახურიდან გათავისუფლდნენ 2012-2015 წლებში, სულ ანაზღაურებულია 395,616 ლარი. 6 შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო გათავისუფლებული თანამშრომლების სასარგებლოდ, ხოლო 13 შემთხვევაში – საქმე დასრულდა მორიგებით, რომლის საფუძველზე, თანხების გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელებმა უარი განაცხადეს ყველა მოთხოვნაზე კომპანიის მიმართ, მათ შორის, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაზეც.

ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია:

„2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებამდე მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის და 38-ე მუხლების შესაბამისად, დასაქმებელს უფლება ჰქონდა, საკუთარი შეხედულებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შეეწყვიტა დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა. შპს „საქართველოს ფოსტა“-ში შრომითი დავების რაოდენობა გაიზარდა ზემოხსნეული ცვლილებების შემდეგ, რადგან სასამართლოებმა შრომითი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი გაავრცელეს ცვლილებებამდე გათავისუფლებულ დასაქმებულებზეც. სასამართლოებმა ასეთი დავების მიმართ გაავრცელეს ასევე 3 წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებიც. დასახელებული, წინასწარ გაუთვალისწინებადი გარემოებების გამო, კომპანიამ შეიმუშავა მორიგებების სტრატეგია, რამაც მნიშვნელოვნად დაზოგა ფინანსური რესურსები. 2016 წლის 01 აგვისტოს შემდეგ, კომპანიამ შეიმუშავა მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, დასაქმებულების გადაცდომებს კოორდინირებულად სწავლობს რამოდენიმე სტრუქტურული ერთეული. 2016 წლის 01 აგვისტოს შემდეგ კომპანიის წინააღმდეგ შემოტანილია მხოლოდ და მხოლოდ 7 სარჩელი. 2016 წლის 01 აგვისტოს შემდეგ გათავისუფლებული დასაქმებულთან მიმართებით არ არსებობს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წინააღმდეგ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული არცერთი სასამართლო გადაწყვეტილება.“

5 პარტნიორის მიერ უფლებამოსილებების შესრულებისას გამოვლენილი ხარვეზები

შპს „საქართველოს ფოსტის“ წესდების თანახმად,⁴³ კომპანიის ბიზნესგეგმა უნდა დაამტკიცოს პარტნიორთა საერთო კრებამ. სახელმწიფო საწარმოების ბიზნესგეგმების დამტკიცება სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოეთხოვება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N390⁴⁴ და N391⁴⁵ დადგენილებებითაც. ასევე წესდების მოთხოვნების მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრება ვალდებულია შეიკრიბოს წელიწადში – მინიმუმ, ერთხელ.

პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ მმართველობით საკითხებზე, როგორიც არის ახალი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, მათი შეწყვეტა და დირექტორის საქმიანობის კონტროლი.

2017 წელს კომპანიის ბიზნესგეგმა არ არის დამტკიცებული პარტნიორთა საერთო კრების მიერ, ასევე არ შესრულებულა წესდებით მოთხოვნილი ვალდებულება, ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის 6 თვეში ერთხელ პარტნიორისათვის წარდგენის შესახებ.⁴⁶

მიუხედავად მაკონტროლებელი ფუნქციისა, 2017 წელს პარტნიორთა საერთო კრება არ ჩატარებულა. ამასთანავე, კომპანიის მხრიდან კონკრეტული მიმართვისას, რომელიც ეხებოდა ვალის სანაცვლოდ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, პარტნიორის პასუხი იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დამატებით განმარტებას.

პარტნიორის მხრიდან მაკონტროლებელი ფუნქციების შეუსრულებლობა, ვერ უზრუნველყოფს კომპანიაში ჯანსაღი კონტროლის გარემოს შექმნას. შესაბამისად, შესაძლოა ვერ განხორციელდეს ნაკლოვანებების, სისტემური რისკებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე სათანადო რეაგირება.

რეკომენდაცია N5. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

შპს „საქართველოს ფოსტაში“ გამოვლენილი დარღვევების პრევენციის, ეფექტიანი დაგეგმვის, კონტროლისა და კომპლექსურ საკითხებზე სწორი გადაწყვეტილების მიღების

⁴³ მუხლი 7, პუნქტი 7, ქვეპუნქტი „ზ“.

⁴⁴ მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ტ.ა“.

⁴⁵ მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ტ.ბ“.

⁴⁶ მუხლი 10, პუნქტი 2.

მიზნით, აუცილებელია პარტნიორთა კრების ფუნქციები სრულდებოდეს კომპანიის წესდების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს შპს „საქართველოს ფოსტის“ წლიური ბიზნესგეგმების პროექტების განხილვა, დამტკიცება და კომპანიის საქმიანობაზე შესაბამისი ზედამხედველობა.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

თარიღი

ხელმოწერა

ბესიკ ქოჩიაშვილი

30.01.19



მთავარი აუდიტორი

კორნელი გაბლიშვილი

30.01.19



უფროსი აუდიტორი

მირიან შარიქაძე

30.01.19



აუდიტორი

ირაკლი ბაჩიაშვილი

30.01.19



აუდიტორ-ასისტენტი

